

რუსთაველის გამზ. №15-ში განთავსებული შენობის
საარქივო-ბიბლიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა



1901-1908წწ. ფოტო



2007 წლის ფოტო

2007

ჩვენს მიერ საკვლევი ნაგებობა მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში, ქალაქის ცენტრალურ გამზირზე, უწინდელ გოლოვინის პროსპექტზე, გარეთუბანში, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და სასტუმრო „თბილისი-მარიოტის“ შენობათა შორის. უბნის ძველი სახელწოდება მისი მდებარეობით იყო განპირობებული – იგი ფეოდალური ქალაქის ძირითადი ბირთვის – კალას – გალავნის გარეთ, მის ჩრდილო-დასავლეთით იყო განთავსებული.

ვახუშტის 1735 წ. რუსაზე მოცემული ტერიტორია არ არის აღნიშნული, ის ჯერ არ არის შესული ქალაქის შემადგენლობაში, თუმცა სახელწოდება გარეთუბანი უკვე არსებობს და ეწოდება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას კალას უბნის გალავნის გარეთ (ტერიტორია დღევანდელი დადიანი-პუშკინი-ბარათაშვილის ქუჩების ხაზიდან ქაშუეთის ეკლესიამდე). შემდგომ, ოსმალთა შემოსევის შედეგად, ქალაქის ეს ნაწილი მთლიანად განადგურებულია. XVIII ს-ის 70-იანი წწ.-ებიდან უბანი აღდგენას იწყებს, ვიდრე მალევე, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებით კვლავ არ იქნა დარბეულ-დანგრეული. კიდევ უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნის დასაწყისში, გარეთუბნი გაიზარდა და 1850-იანი წლებისთვის უკვე დღევანდელი მმ. კაკაბაძეების ქუჩამდე მიაღწია. ამრიგად, გარეთუბანი ჩვენამდე, ძირითადად, XIX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბებული სახით მოვიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უბნის სახელწოდება XIX საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ, ქალაქის ოფიციალურ ტოპონიმიკაში აღარ გვხვდება – როგორც ქვემოთ დავინახავთ, უკვე 1867 წლის რუსაზე, სოლოლაკსა და ვარდისუბანს შორის მოქცეული ეს ტერიტორია ისტორიული სახელის გარეშე, მხოლოდ I საპოლიციო უბნად აღინიშნება.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მთავარი არტერია – რუსთაველის გამზირი, რომლის შუა ნაწილშიც განთავსებულია ამჟამად ჩვენთვის საყურადღებო ნაგებობა, სოციალურ-ფუნქციური და შესაბამისად, სამშენებლო-არქიტექტურული თვალსაზრისითაც, ადრიდანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქის საერთო სახის შექმნაში. იგი XIX ს-ის 80-90-იანი წწ.-ებიდან XX ს-ის 20-იან წწ.-ებამდე ერევნის მოედანთან ერთად და მიმდებარე ტერიტორიებით, უკვე გამოკვეთილი იყო, როგორც ქალაქის ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი და კულტურული ცენტრი: აქ განთავსებული იყო მეფისწულის სასახლე, სამხედრო შტაბი, მუზეუმები, თეატრები, ბიბლიოთეკა, ეპროპული ტიპის რესტორნები და ა.შ.; საზოგადოების მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა – სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციის, არისტოკრატიის და მსხვილი ბურჟუაზიის ოჯახების მიერ პროსპექტის მიმდებარე კვარტლებში აიგო საცხოვრებელი სახლები, გაჩნდა აგრეთვე, გასაქირავებელი კ.წ. შემოსავლიანი სახლები, სამოთხესართულიანი, რომლებიც თანდათან ცვლიდნენ უწინდელ ერთ-ორსართულიან განაშენიანებას. არქიტექტურა თანდათან ევროპულ სახეს იძენდა.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ფართოდ გაშლილი გარეთუბანი, თავის მხრივ, პატარ-პატარა უბნებად იყო დაყოფილი. ასე მაგალითად: ქამაანთ უბანი /ტერიტორია დღევანდელი ეროვნული მუზეუმის შენობასა და გუდიაშვილის ქუჩას შორის/; კალოუბანი – შემოიფარგლებოდა დღევანდელი რუსთაველის კინო-თეატრით, ქაშუეთის ეკლესიითა და თაბუკაშვილის ქუჩით; აგრეთვე, არსებობდა ვანქის უბანი, მუხრანთუბანი, ორბეჭიანთ უბანი.

იმისათვის, რათა უკეთ დავინახოთ, თუ როგორ ვითარდებოდა ტერიტორია, რომელზეც შემდგომ, XIX საუკუნის ბოლოს, ჩვენთვის საინტერესო ნაგებობა აიგო, საინტერესო თვალი გავადევნოთ, თბილისის ისტორიულ რუკებს. როგორც 1844 წლის რუკიდან ჩანს, ქალაქი მაშინ 3 კვარტლად იყოფოდა – გარეთუბანი, ძველი ქალაქი და ავლაბარი. აღნიშნული ადგილი მაშინდელი ქალაქის I ადმინისტრაციული ნაწილის ცენტრში იყო განთავსებული. იგი რუკის მიხედვით, ცარიელია. მიმდებარე ტერიტორიაზე აღნიშნულია გოლოვინის პროსპექტი /რუკაზე №5/, ინჟინრის /დღევანდელი ჭანტურიასა და ვირსალაძის ქუჩები/ ქუჩა /რუკაზე №22/, რომელზეც მნიშვნელოვან და მოზრდილ ნაგებობას წარმოადგენდა საინჟირო უწყების სახაზინო შენობა, მდგარი დღევანდელი გაერთიანებული ქართული ბანკის ადგილზე /რუკაზე №49/, ასევე, შემაბის უფროსის სახლი, განთავსებული დღევანდელი თაბუკაშვილისა და ჭანტურიას ქუჩათა კუთხეში, უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო ნაგებობის ტერიტორიის უკანა მხარეს /რუკაზე №48/. იმ დროს აღექსანდრეს ბაზი ჯერ არ არსებობდა, იყო მხოლოდ აღექსანდრეს მოედანი /რუკაზე №3/ და მის ცენტრში სამხედრო მომარაგების სასურსათო მაღაზია /რუკაზე №75/. მნიშვნელოვანია, რომ აქვე წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაც მდაგარა, რომელსაც კორპუსის ეკლესიას ეძახდნენ და რომელიც შემდგომ ადგილმონაცვლებულ იქნა /რუკაზე №30/



სურ. 1. თბილისის გეგმა, 1844 წელი, ფრაგმენტი

ამრიგად, ნაგებობათა შორის ჭარბობს სამხედრო დანიშნულების ობიექტები. ამ ტერიტორიის გაგრძელებაზე, ქალაქის მაშინდელი განაპირა ნაწილისკენ ასევე საიმპერიო სამხედრო ყაზარმები და სხვა ამავე ხასიათის შენობებია, და ბოლოს, „მოსკოვის საგუშაგოა“ მაშინდელი ქალაქის გარეუბანი – „გარეთუბნის“ ბოლო პუნქტი.

შემდგომ წლებში უბანში ცვლილებებია, 1967 წლის გეგმიდან ჩანს, რომ წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ადგილზე ინჟინერთა უფროსის შტაბია /რუკაზე №94/, ეკლესია კი უკვე გაშენებული ალექსანდრეს ბაღის ტერიტორიაზეა გადატანილი და სამხედრო ტაძრად იხსენიება. ამასთან, გაჩნდა ახალი ნაგბობა – არმიის მღვდელთავრის სახლი ეკლესიის ძველი ადგილის მახლობლად, შტაბის უკან სიღრმეში. ასევე, შტაბის უფროსის სახლი, განთავსებული დღევანდელი თაბუკაშვილისა და ჭანტურიას ქუჩათა კუთხეში, უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო ნაგებობის ტერიტორიის უკანა მხარეს, აღნიშნულია როგორც არმიის მხედართმთავრის თანაშემწის სახლი /რუკაზე №93/. ცვლილება არ განუცდია არც ფუნქციური და არც გეგმარებითი თვალსაზრისით, საინჟინრო უწყების სახლს მაშინდელი ბარიატინსკისა და ინჟინრის ქუჩათა კუთხეში /რუკაზე №95/



სურ. 2. ობილისის გეგმა, 1867 წელი, ფრაგმენტი

დღევანდელი რუსთაველის გამზ.№15-ის ტერიტორია, ისევე როგორც მისი მიმდებარე ნაწილი გამზირის მხრიდან, რუკაზე ცარიელია, ამასთან, არსებობს საარქივო ფოტო, რომელზეც აღრე აქ მდგომი სახლია აღბეჭდილი. ფოტოზე კარგად მოსჩანს სახლის განაპირა ერკერიანი ნაწილი



სურ. 3. რუსთაველის პროსპექტის ნაწილი, მარცხნივ დღევანდელი №15-ის ადგილზე მდგარი ორსართულიანი სახლის ნაწილი, 1850-60-იანი წლების მიჯნის ფოტო

შემდგომი, 1898 წლის რუკიდან ვიგებთ, რომ ადმინისტრაციულად, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია მოქცეულია ქალაქის III საპოლიციო ნაწილის საზღვრებში, რომელსაც ალექსანდრეს ნაწილი ჰქვია. მოცემულ კვარტალში აღარ დომინირებს სამხედრო ფუნქციის მქონე ნაგებობები, ქალაქი განვითარდა და გარეუბანს აღარ წარმოადგენს. 1880-1896 წლებში არქ. ვ. შრეტერის მიერ აქ იგება ახალი დიდი სახაზინო თეატრი (დღევანდელი ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი, იხ. დანართი 1), ნაცვლად ძველი, ინჟინრის ქუჩაზე განთავსებული თეატრისა /რუკაზე №107/, რაც დიდ მოვლენად იქცა მაშინდელი თბილისური საზოგადოებისათვის. ამავე დროის პერიოდულ გამოცემებში ხშირად ვხვდებით სარეკლამო განცხადებებს ამათუიმ წიგნისა თუ სააფთიაქო მაღაზიის შესახებ, რომელიც გოლოვინის პროსპექტის აღნიშნულ მონაკვეთში მდებარეობს, მისამართად ხშირად მოხსენიებულია ტერიტორია „კრუუკის“ ზამთრის შენობის წინ (საბჭოთა წლებში აქ ოფიცერთა სახლი იყო, დღეს – სავაჭრო სახლია), რომელიც სწორედ ჩვენი შენობის ადგილს შეესაბამება. ამდენად, ჩანს რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებისთვის, აღნიშნული ტერიტორია უკვე აქტიურდება და თანდათანობით ქალაქის ცენტრალურ ნაწილად ყალიბდება



სურ. 4. ობილისის გეგმა, 1898 წელი, ფრაგმენტი



სურ. 5. 1893-1895 წლების ფოტო, რესოსტაველის 15-ის ადგილზე მდგომი ორსართულიანი სახლი

ახალი საუკუნის დასაწყისში, 1902 წლის რუკაზე, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნაგებობის ტერიტორიის მეზობლად, უკვე დატანილია რონფიგურაციის მქონე გეგმარების ნაგებობა – 1898-1901 წლებში აგებული საარტისტო საზოგადოების შენობა, დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (იხ. დანართი 2), ამ ახალ შენობასა და სახაზინო თეატრს შორის გაჩნდა ასევე, რუსული ასო პ-ს მოყვანილობის ნაგებობა – სასტუმრო „როსია“ (იხ. დანართი 3). ჩვენი შენობის ტერიტორიის

ზურგსუკან მდებარე აღრეაღწერილი შენობები და წმ. ნიკოლოზის სახ. ეკლესია ალქსანდრეს ბაზი, კვლავ დატანილია რუკაზე. ეკლესიის გარდა, თითოეულს მცირედი გეგმარებითი ცვლილებებიც განუცდია



სურ. 6. ობილისის გეგმა, 1902 წელი, ფრაგმენტი

დაახლოებით იგივე სურათია 1907 წელს, მოცემული ტერიტორია პროსპექტის მთავარი ნაგებობებით არის დატვირთული. კვლავ აღნიშნულია სასტუმრო „როსია“ /რუკაზე №56/, დღევანდველი ოპერისა და რუსთაველის თეატრები /რუკაზე №57/, სამხედრო მაღალჩინოსნის ბინა /რუკაზე №58/, კავკასიის სოფლის მეურნეობის საიმპერატორო საზოგადოების შენობა დღევანდველი ბაღში განთავსებული მაღლივი მრავალფუნქციური კორპუსის ადგილზე /რუკაზე №64/, სამხედრო-საინჟინრო სამმართველო – XX საუკუნის ბოლოს აგებული სასტუმრო „თორის“ ადგილზე /რუკაზე №59/, და ტიფლისის სამხედრო-საინჟინრო დისტანციის სამმართველო – დღევანდველი „ვითიბი“ ბანკის შენობის ადგილზე /რუკაზე №60/. №33-ით „კრუერკის“ შენობაა აღნიშნული. შესაძლოა, რომ ამავე პერიოდში ჩვენთვის საინტერესო ნაგებობა ან უკვე აშენებულია, ან მიმდინარეობს მისი აგება, მხოლოდ იგი რუკაზე არ არის დატანილი, ვინაიდან არ წარმოადგენდა სახაზინო ნაგებობას



სურ. 7. ობილისის გეგმა, 1907 წელი, ფრაგმენტი

1913 წლის რუკაზე, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია პრაქტიკულად უცვლელია. ამ დროისთვის ჩვენთვის საყურადღებო ნაგებობა უკვე აგებულია. ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება – დღევანდელი რუსთაველის თეატრის შენობის გეგმა ოდნავ შეცვლილია, თითქოს დაგრძელებულია სამხრეთისკენ, პროსპექტის გასწვრივ, მიახლოებულია ტიპოგრაფიის, დღევანდელი სტამბის ჩიხს, და კიდევაც სცდება მას. ამასთან, ეს ჩიხი დღეს ჩვენი საკვლევი ობიექტის მარცხენა ნაწილს ადგება ზურგიდან, შესაძლოა აღნიშნული შენობა XX საუკუნის დასაწყისში, ნაწილობრივ თეატრის გარკვეულ ფუნქციებსაც ითავსებდა




სურ. 8. ობილისის გეგმა, 1913 წელი, ფრაგმენტი



სურ. 9. გოლოვინის პროსპექტის ხედი, დღევანდელი რუსთაველის 15-ის ადგილზე მდგომი ნაგებობა, მარცხნიდან მესამე, ნაწილობრივ ჩანს მისი II სართული. ფოტო 1890-იანი წლებისა.

ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, თბილისის ქუჩათა სახელები შეიცვალა, ალექსანდრეს ბაღი ორ პირობით ნაწილად არის გაყოფილი და ლიბკნებტისა და ოქტომბრის რევოლუციის ბაღების სახელებით აღინიშნება. რუსთაველის თეატრის შენობის კონტური კვლავ ძველ საზღვრებშია – მოშორებული აქვს „წანაზარდი“ მარცხენა ნაწილში



სურ. 10. თბილისის გეგმა, 1924 წელი, ფრაგმენტი

ამრიგად, საკვლევი უბანი რომელიც 1910-იანი წლებისთვის, ქალაქის ზრდის პროცესის შესაბამისად გაშენდა და თანდათანობით დაწინაურდა კიდეც სოციალური და ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით. როგორც უკვე აღინიშნა, უბნის თავდაპირველად განსაზღვრული ძირითადი სამხედრო ფუნქცია, წლების მანძილზე შეიცვალა, აიგო სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობები, პროსპექტი იქცა ქალაქის მთავარ არტერიად.

რაც შეეხება კონკრეტულად რუსთაველის №15-ში განთავსებული შენობის ისტორიას, მის შესახებ არსებული ინფორმაცია საკმაოდ მწირია – არ არის ცნობილი პროექტის ავტორი, აგების ზუსტი თარიღი. არ არის დაზუსტებული შენობის თავდაპირველი ფუნქციაც. საარქივო მონაცემებით ვიგებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე 1890-იანი წლების დასაწყისში მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა ვინმე მიხეილ სერგიევს. ამავე წლების ფოტოდან დავინახეთ, რომ დღევანდელი შენობის ადგილზე იდგა ორსართულიანი ერკერიანი საცხოვრებელი სახლი, შესაძლოა სწორედ ეს სახლი ეკუთვნოდა ზემოაღნიშნულ პიროვნებას, რომლის შემდგომაც, დაახლოებით ათობელი წელიწადში გაცილებით უფრო იმპოზანტური, უკვე დღევანდელი შენობა აიგო.

ის რომ შენობა აგებული უნდა იყოს XX საუკუნის I ათწლეულში, შეგვიძლია დავასკვნათ, როგორც მისი სტილისტიკიდან გამომდინარე, ისე საარქივო ფოტოების მიხედვით – ფოტოზე სადაც დღევანდელი რუსთაველის თეატრია აღბეჭდილი, რომლის აგებაც 1901 წელს დამთავრდა, მოსჩანს მის გვერდით დღგომი ხარაჩოში ჩასმული შენობის ნაწილი



სურ. 11. რუსთაველის პროსპექტის ნაწილი, 1901-1908წწ.

ამავე ფოტოს მიხედვით, დღევანდელი რუსთაველის თეატრის შენობის მეორე მხარეს ყოფილი სასტუმრო „ბეთანიის“ 2-სართულიანი შენობაა. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელს, არქ. ა. ოზეროვის პროექტით 1908 წელს III სართული დაემატა.* შესაბამისად, ჩვენი ნაგებობა აშენდა რუსთაველის თეატრის აგების შემდგომ და სასტუმრო "ბეთანიის" რეკონსტრუქციამდე – 1901-1908 წლებს შორის



სურ. 12. რუსთაველის პროსპექტის ნაწილი, 1901-1908წწ.

*გ. ბეჭანიშვილი, რუსთაველის პროსპექტი და მოედანი, თბ., 1967, გვ. 47

სხვა ფოტოდან გხედავთ, რომ ჩვენი შენობის I სართულზე სარეკლამო აბრებია განთავსებული, ერთზე რუსული შრიფტით მითითებულია ინიციალები და გვარი – გ. ბ. გეგელქ, ცენტრალური დიობის წარწერის გარჩევა არ ხერხდება. სავარაუდოდ, I სართულს მაშინ კომერციული დატვირთვა პქნდა



სურ. 13. რუსთაველის პროსპექტის ნაწილი, 1901-1908წწ., ფრაგმენტი

ასევე წარწერა იკითხება დღევანდელი „თბილისი მარიოტის“ (იხ. დანართი 4) ადგილზე მდგარი შენობის თავზე – ფოტოგრაფი ლ. განკევიჩი



სურ. 14. დღევანდელი სასტუმრო „თბილისი-მარიოტის“ ადგილი, 1910-იანი წწ.

საბჭოთა პერიოდში, რუსთაველის 15-ში განთავსებული იყო კალინინის რაიონის ცენტრალური შემნახველი სალარო. აქ იყო აგრეთვე, ცენტრალური სახელმწიფო არქივის სახალხო მეურნეობის მასალათა განყოფილება. ასევე ცნობილია, რომ,


გარკვეულ პერიოდში, შენობის III სართული სასტუმროს ეკავა. 1990-იანი წლების დასაწყისში დედაქალაქში მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების დროს შენობა დაიწვა, და მისი რეაბილიტაცია განხორციელდა ფასადების რესტავრაციითა და შიდა სივრცის თითქმის მთლიანად ხელახლა აგების მიმართულებით. ამასთან, მოხდა მანსარდის სართულის დამატება, რომლის ფორმაც მარჯვნივ განთავსებული რუსთაველის თეატრის მანსარდს მიესადაგა.

შენობის მთავარი ფასადის პომპეულ სახეს მისი სამი რიზალიტიო აქცენტირებული სიმეტრიული კომპოზიცია განაპირობებს, რომლის მხატვრულ დამუშავებაშიც რენესანსის, როკოკოსა და ამპირის სტილისათვის დამახასიათებელი ელემენტებია გამოყენებული




სურ. 15. რუსთაველის გამზ. 15, საერთო ხედი

რიზალიტებს შორის კედლის სიბრტყე II და III სართულებზე ორ-ორი სწორკუთხა ფანჯრით ნაწევრდება. თვით რიზალიტებში ქვის აივნებია. ამასთან, III სართულის აივნებისთვის საყრდენებად II სართულის აივანთა მოაჯირებიდან აყოლებული მონაცრისფრო მარმარილოს იონიურკაპიტელებიანი მრგვალი სვეტები ქცეულა. თავად ეს აივნები I სართულის დიობთა თავზე გამავალი ფრიზიდან ამოზრდილ მძლავრ კრონშტეინებს ეფუძნება. შუა შედარებით განიერ რიზალიტში აივნები გეგმაში მომრგვალებული ფორმისაა, განაპირა ნაწილებში კი სწორკუთხა. აივნის კედლებზე სვეტების ერთგვარი პროექცია ხდება მარმარილოსავე სწორკუთხა პილასტრების სახით



სურ. 16, 17. რუსთაველის გამზ. 15, მთავარი ფასადის ფრაგმენტები

ფასადის I სართული ნაწილობრივ სახეშეცვლილია: თავდაპირველად რიზალიტებში თაღოვანი დიობები ყოფილა გაჭრილი, მათ შორის ნაწილებში კი დიდი ზომის სწორკუთხა ვიტრინები. ამჟამად, ცენტრალური დიობი სწორკუთხაა. შეცვლილია ყველა კარი და ვიტრინა. მათი ხის ალათებიანი კარების წინ ლითონის ჭვირული ცხაურებია აკრული. შენობის მთავარი ფასადის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა საარქივო ფოტოები, საიდანაც ჩანს, რომ შენობის კარები I სართულზე და ცხაურები დამზადებულია თავდაპირველის ანალოგით, აგთენტური უნდა იყოს ორი განაპირა კარის ფრამუგის ნაწილები



სურ. 18. 2007 წლის ფოტო



სურ. 19. 1910-იანი წლების ფოტო



სურ. 20. 2007 წლის ფოტო



სურ. 21. 1910-იანი წლების ფოტო


შეცვლილია I სართულის მოპირკეთებაც, მისი დიდი ნაწილი აქტიური ქლერადობის მწვანე ფერის მარმარილოს ფილებით არის შესრულებული. ფასადის თავდაპირველი მოპირკეთება I სართულზე შემორჩენილია მხოლოდ განაპირა რიზალიტებში, ღიობების გარშემო. აქ ისევე როგორც II და III სართულებზე ძირითადი სიბრტყის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია ეკლარის ქვა, დეკორატიული ელემენტები კი სხვადასხვა ტონალობის მარმარილოსგანაა შესრულებული: ამასთან კაპიტელები კარის წირთხლებზე, მონაცრისფრო-მომწვანო ფერისაა, თაღის პერიმეტრზე განაწილებული დაბალი პირამიდისებურად დაწახნაგებული ელემენტები – მოთეთრო-მონაცრისფრო, საჭექი ქვის აქეთ-იქით კი მოყვითალო ტრაპეციებია, რაც მთლიანობაში გარკვეულ პოლიქრომიას ქმნის, ზომიერს და გემოვნებით შედგენილ არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციას.

ფასადზე ყველა ღიობი დამუშავებულია პროფილირებული საპირეთი, საჭექი ქვების ადგილზე მცენარეულ მოტივებზე აგებული ჰორელიეფებია. II სართულის მოაჯირებში ქვის განიერი გეომეტრიზირებული ფორმის რიკულებია ჩასმული, III სართულის აივნებს ასევე, ქვის გამჭოლი, მხოლოდ ორნემენტული ნახატის მქონე მოაჯირები აქვთ. მცირე ზომის იონიკების რიგი გასდევს III სართულის აივნების ძირს



სურ. 22, 23. რესთაველის გამზ. 15, მთავარი ფასადის ფრაგმენტები

III სართულის თითოეული ღიობის მაღლა, მის სიგანეზე მცენარეული ორნამენტებით შემკული რელიეფებია, ცენტრში მარმარილოს კოპებით. ფასადს ასრულებს იონიკების რიგი, მსხვილად წინწამოწეული პროფილირებული კარნიზი და პარაპეტი, დაგვირგვინებელი რიზალიტების შესაბამისი სამი შემადლებული ვოლუტებიანი მრუდხაზოვანი ორნამენტული ნაწილით, თითოეულ მათგანზე მცირე ზომის ქვის ამპირული კვერთხით. ამათგან, ცენტრალური, უფრო განიერია და მისი რელიეფიც უფრო მდიდრული – მსხვილი წნული გირლანდით შემკული



სურ. 24, 25. რესთაველის გამზ. 15, მთავარი ფასადის ფრაგმენტები

მთლიანობაში, საფასადო გაფორმება ერთგვარი სისადავითა და სიმკაცრით ხასიათდება, რასაც განაპირობებს გაწონასწორებული, აბსოლუტურად სიმეტრიული კომპოზიცია, ეკლარის ქვის ღია ფერისა და მონაცრისფრო მარმარილოს მშვიდი კოლორიტი, დეკორატიული ელემენტების თანაბარი განაწილება, მხატვრული მახვილების ზომიერება. ზემოთქმული გულისხმობს შენობის პირველსახეს, არ ვრცელდება ამჟამინდელი I სართულის იერზე,

რომელიც გვიანდელი ღიობების მოყვითალო ფერითა და მწვანე მოპირკეთებით, ერთგვარ დისონანსშია მთლიანად შენობასთან



სურ. 26, 27. რუსთაველის გამზ. 15, მთავარი ფასადის ფრაგმენტები

აქვე უფრო დეტალურად მიმოვიხილავთ საფასადო სიბრტყის დამუშავების საკითხეს. როგორც ითქვა, ფასადი მოპირკეთებულია ეკლარის ქვით, ამაგვ ქვისგან იყო დამზადებული აივნები, რომელთა ბალიასინების ნაწილიც ამჟამად შეცვლილია გვიანდელი ჩამოსხმული ელემენტებით. მარმარილო, რომელიც გამოყენებულია საფასადო შემკულობაში, არის ადგილობრივი წარმოების, ქალაქ მცხეთასთან მდებარე კარიერიდან და აქვს სხვადასხვა ფერი: დია მონაცრისფრო – სვეტები, საპირეს ელემენტები, კოპები; მოთეთრო-მოყვითალო – საპირეზე სწორეულხა ელემენტები და დია მონაცრისფრო, ოდნავ მომწვანო ელფერით – კაპიტელები შესასვლელთა წირთხლებზე. სწორედ ამ კაპიტელების მსუბუქად მომწვანო ტონალობა იქცა, როგორც ჩანს, 1990-იანი წლების ბოლოს განხორციელებული რესტავრაციის დროს, ახალი მოპირკეთებისთვის მწვანე ფერის შერჩევის საფუძვლად, თუმცა ავთენტური მასალის ფერს მომწვანო ძალიან ფრთხილად შეიძლება ეწოდოს – შენობის ფასადზე გამოყენებული სამივე ტონალობა ერთმანეთს ენათესავება და მხოლოდ მცირე ფერადოვანი გრადაციით თუ განხსნევადება. ასევე მიუდებელია ამავე მწვანე მარმარილოს სიპრიალე, თავდაპირველი მოპირკეთება გლუვი იყო და ფასადის საერთო პარმონიულობის განაპირობებდა.

შენობის უკანა ფასადი, რომელიც სტამბის ჩიხის მხარეს გადის, დიდწილად არის შეცვლილი. რელიეფიდან გამომდინარე ნაგებობის ამ მხარეს სრულად გამოდის სარდაფის ორი დონე. ამას ემატება დაშენებული სართული, რომელიც მომრგვალებულია და შედეგად ვიღებთ შვიდსართულიან ფასადს, მარცხენა, თეატრის მომიჯნავე ნაწილში, კიდევ უფრო შემაღლებული კიბის უჯრედის წინ გამოწეული მოცულობით. ფასადის I, II და III სართულები – ძველის სტილიზაციაა – შებრტყელებულთაღოვანი ფორმის ფანჯრები სადა საპირეებით არის გარშემორტყმული, დარჩენილი სიბრტყე კი I-II სართულებზე

შელესილობით არის რუსტირებული, მაღალ სართულებზე კედლის სიბტყე თეთრად არის შელესილ-შელებილი. IV, V, VI სართულებს მარცხენა ნაწილში თანამედროვე აივნები აქვს



სურ. 28, 29. რუსთაველის გამზ. 15, უკანა ფასადი, მინაშენი უკანა ფასადზე

მთლიანად თანამედროვე სახეს ატარებს მინაშენი ეზოში. იგი I სართულის სიმაღლეზეა მიღგმული შენობის მთელ სიგანეზე და ცენტრში მსუბუქი კონსტრუქციის კამაროვანი გადახურვა აქვს. ეს მინაშენი სრულიად შეუფერებელია შენობისთვის

შენობა აგებულია აგურით. ავთენტურია მისი სარდაფები, მთავარი ფასადის ძირიტადი ნაწილი და უკანა ფასადის ნაწილი. ინტერიერში გამოცვლილია სართულშუა გადახურვები, ახალია ხვეული კიბე ლითონის მოაჯირით. გეგმარება შესაძლოა ძველის ანალოგიურია, ისევე როგორც გეომეტრიული ნახატის მქონე შელესილობა კედლებსა და სხვადასხვა სართულების ჭრზე



სურ. 30, 31. რუსთაველის გამზ. 15, I სართულის ინტერიერი, კიბის უჯრედი

გვიანდელია მარმარილოთი მოგებული ყველა იატაკი შენობის შიდა სივრცეში და მარმარილოს საფეხურებიანი ლითონის მოაჯირიანი ხვეული კიბე. ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობა მდგრადია.

ამჟამად განზრახულია ნაგებობის სარდაფებისა და 2 მიწისზედა სართულის ფუნქციური აღაპტაცია, რომლის პროცესშიც, რეკომენდებულია შენობის მთავარი ფასადის I სართულის განთავისუფლება გვიანდელი მწვანე ფერის მარმარილოს მოპირკეთებიგან და მის ნაცვლად ავთენტურ მასალასთან მიახლოებული მონაცრისფრო-მოსალათისფრო მარმარილოს გლუვზედაპირიანი ფილების გამოყენება. აგრეთვე, შენობის ახალი ფუნქციიდან გამომდინარე (მასში ბანკის მოწყობაა განსაზღვრული), პროექტის ავტორთა მიერ, ინტერიერში გათვალისწინებულია ლიფტის უჯრედის განთავსება, რაც თანამედროვე კომუნიკაციისათვის აუცილებელია და არც შენობის შედარებით ახლადამოყვანილი სხეულისთვის იქნება საზიანო. აქვე დასაშვებია აგრეთვე, გეგმარებითი ხასიათის მცირეოდენი ცვლილებები, რაც ბანკის ფუნქციონირებისთვის არის სპეციფიური და რაც საფრთხეს არ შეუქმნის შენობის კონსტრუქციულ მდგრადობას. გათვალისწინებულია ასევე, სახანძრო კიბის მოწყობა, რაც ტექნიკური უსაფრთხოებისთვის არის საჭირო. მისთვის შეირჩევა ადგილი შენობის უკანა ფასადზე.

შენობის რეაბილიტაციის პროცესში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ მთავარი ფასადი იქნეს მოწესრიგებული – გასუფთავდეს და აღუდგეს თავდაპირველი სახე – მოსცილდეს შეუფერებელი მყვირალა მოპირკეთება, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები შეიცვალოს ხის ალათებით. შედეგად მივიღებთ კულტურული მემეკვიდრეობის ნიმუშს, საზოგადოებრივ ნაგებობას, რომელიც დედაქალაქის მთავარი მაგისტრალის – რუსთაველის გამზირის ერთ-ერთ დირსეულ შემადგენლად იქცევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შენობას სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს უძრავი ძეგლის სტატუსი, შესაბამისად, კანონით განსაზღვრულია მისი დაცვის რეჟიმი, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ ნაგებობის თავდაპირველი სახის შენარჩუნებასა და მოვლა-პატრონობას გულისხმობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წწ., ტ I-II, თბ., 1960-1962
2. გ. ბეჟანიშვილი, რუსთაველის პროსპექტი და მოედანი, თბ., 1967
3. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984
4. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985
5. საქართველოს ძველი ქალაქები, თბილისი, თბ., 2002
6. მ. მანია, ი. ბაულიგი, ჰ. მილდენბერგერი, კ. ციბლერი, თბილისის არქიტექტურული გზამკვლევი, ზაარბრიუკენი, 2004
7. მ. მანია, ევროპელი არქიტექტორები თბილისში, თბ., 2006
8. კავკასკий კალენდარი, 1892-1894 წწ., 1905 წ.

გამოყენებული საარქივო მასალა, ისტორიული რუკები და ფოტოები დაცულია:

1. იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი
2. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი
3. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი

ხელოვნებათმცოდნე – მ. შავიშვილი

30.10.07.

დანართი 1

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო
აკადემიური თეატრი



დიდი სახაზინო თეატრი, 1880-იანი წლები.

1876 წელს გამოცხადდა კონკურსი თბილისის ახალი სახაზინო თეატრის პროექტზე. რის შედეგადაც საფუძვლად იქნა აღებული პეტერბურგელი არქიტექტორის ვ. შრეტერის პროექტი. პროექტის საბოლოო ვარიანტი მიღებულ იქნა 1880 წელს. თეატრი გაიხსნა 1896 წლის 3 ნოემბერს.

ნაგებობა გამოირჩევა თავისი არქიტექტურულ-მხატვრული სახით და თბილისის შენობათა შორის ფსევდომაგრული ორიენტალიზმის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. მთავარი ფასადის მხატვრული კომპოზიცია აგებულია ისრული და ნალისებრი ფორმის თაღების, ფართო სვეტისთავიანი წვრილი სვეტების, სტალაქტიდებით შემცული დეკორატიული კოშკურების, ხალიჩასავით მოფენილი და არშიებად გაყოლებული ორნამენტების კომბინაციაზე. ფასადის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს ორსართულიანი პორტიკი-კარიბჭე, II სართულზე ფართო მავრული თაღებით გახსნილ ტერასით. გვერდით ფასადებზეც თაღოვანი ლოჯიებია. აღნიშნული სტილია გამოყენებული ინტერიერშიც – მხატვრობის მოტივები მავრული ორნამენტაციის რეპერტუარიდან არის აღებული, შიგადაშიგ ნაძერწი სტალაქტიდებით.

1974 წელს შენობა დაიწვა, გადარჩა მხოლოდ გარეთა კედლები. ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები, მისი თავდაპირველი სახის რეაბილიტაციის მიმართულებით. ამასთან, ახალი ტექნოლოგიების შესაბამისად, მოდერნიზებულ იქნა სცენის ნაწილი. რეკონსტრუქციის ავტორები არიან: ლ. მემარიაშვილი, გ. ჩახანიძე.

დანართი 2**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

საარტისტო საზოგადოების შენობა, 1901-1908 წწ.

შოთა რუსთაველის სახ. თეატრის შენობა აგებულ იქნა 1898-1901 წლებში ატიტექტორების – კორნელი ტატიშჩევისა და ალექსანდრე შიმკვიჩის პროექტით და თავდაპირველად წარმოადგენდა საარტისტო საზოგადოების შენობას – "არტისტული საზოგადოების" თეატრს. 1920-იან წლებში შენობის სარდაფი, რომელშიც განთავსებული იყო კაფე „ქიმერიონი“, მოხატეს ცნობილმა მხატვრებმა – ლ. გუდიაშვილმა, დ. კაკაბაძემ, კ. ზდანევიჩმა და ს. სუდეიკინმა. სტილისტურად ნაგებობა წარმოადგენს ეკლექტურ ნაწარმოებს, სადაც დომინირებს ბაროკოსა და როკოკოს ელემენტები. დარბაზები გაფორმებულია სხვადასხვა მხატვრული სტილის ელემენტებით.

თეატრმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალი რემონტი თუ რეკონსტრუქცია განიცადა, რომელთა ფარგლებშიც, მის ინტერიერსა თუ გარე სახეში შეტანილ იქნა სხვადასხვა სახის გარკვეული ცვლილებები, ამასთან, მთავარი ფასადი ძირითადად, თავდაპირველი სახით არის შენარჩუნებული.

სასტუმრო “როსია”



ყოფილი სასტუმრო “ბეთანია”, რომელსაც, 1879 წელს ეწოდა “როსია”, 1880-იანი წლების დასაწყისის ფოტო

სასტუმრო “როსია” გაიხსნა 1884 წელს გოლოვინის პროსპექტისა და თეატრალური შესახევის პირზე (დღევანდელი ვასო აბაშიძის ქუჩა). მის გვერდით მდებარეობდა სასტუმრო ბეთანია, რომელიც იყო თბილისის ერთ-ერთი უძველესი სასტუმრო. იგი გაიხსნა 1867 წელს და ეკუთვნოდა თავად გ. ჯამბაკურ-ორბელიანს. 1879 წლიდან დაერქვა "როსია", შემდგომ, 1880-იანი წლების შუა ხანიდან – "ნომერა საბადური". რამოდენიმე წელიწადში შენობას კიდევ არაერთხელ შეიცვალა სახელწოდება. 1905 წელს აქ გაიხსნა პირველი დახურული კინო-თეატრი “ელექტროპროექტორი”, შემდგომში – "სპარტაკი." 1908 წელს შენობას დააშენეს მესამე სართული არქიტექტორ – ა. ოზეროვის პროექტით და II-III სართულებზე განთავსდა სასტუმრო "პალას ოტელი". შენობის ფასადები იმ დროს გავრცელებული მოდერნის სტილის ელემენტებით გაფორმდა. 1917 წელს ხანძრის შედეგად, ეს შენობა დაიწვა, აღდგენილ იქნა 1923-24 წლებში. ამჟამად, აქ თეატრალური ინსტიტუტია განთავსებული. საბჭოთა პერიოდში ეს შენობა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ეკავა.

სასტუმრო "თბილისი მარიოტი"



სასტუმრო "მარიოტი", 1920-იანი წლების ფოტო

ყოფილი სასტუმრო „მარიოტი“ აგებულია არქიტექტორ გ. ტერ-მიქელოვის პროექტით, 1915 წელს. სასტუმროს პროექტი თავდაპირველად, შედგენილი იყო არქიტექტორ ა. ოზეროვის მიერ 1910 წელს, მაგრამ მაშინ იგი არ შედგა. სასტუმრო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენობაა თბილისში. მისი 5-სართულიანი რენესანსულ-ბაროკული ფასადი ოსტატურად არის მომრგვალებული ქუჩათა გდაკვეთასთან და კარგად ერგება მის მოხაზულობას. მოზრდილი აღნაგობის ფასადი რიტმულად ნაწევრდება ლიობებით. მაღალი პირველი სართული შედარებით მუქი ქვით არის მოპირკეთებული, რომლის მაღლაც, ზედა სართულების თეთრი თლილი ქვის წყობა მკაფიოებით გამოირჩევა. ორდერით გაერთიანებული ორი სართული და ატიკის სართული ანტამბლემენტის ზემოთ, საფასადო კომპოზიციის მთავარი განმსაზღვრელია. სასტუმროს ბრტყელ გადახურვაზე მოწყობილი ტერასა თბილისური სამშენებლო ტრადიციიდან მომდინარეობს. 1991-92 წლებში შენობა დაზიანდა, შემდგომ რეაბილიტირებულ იქნა და 2002 წელს მასში სასტუმრო "თბილისი მარიოტი" განთავსდა. საბჭოთა პერიოდში შენობაში სასტუმრო "თბილისი" იყო განთავსებული. ჯორჯიაშვილის ქუჩის მხრიდან შენობაში ამავე სახელწოდების კინო-თეატრი იყო მოწყობილი.